KA030190281159919

№ 01-6052 **18 / ივნისი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ
დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის
შემსრულებლის მარიანა მკურნალის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 24-28 ივნისს ნიდერლანდების სამეფოში (ამსტერდამი, ჰააგა, ლეიდენი) საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდისა და ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს მატრა პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამუშაო ვიზიტი „ბავშვთა დაცვის სისტემის გაძლიერება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის“.

შეხვედრაზე განიხილება ჰოლანდიაში არსებული ბავშვთა დაცვისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის, მულტიდისციპლინალური და მულტისექტორული თანამშრომლობის პროცედურების გაცნობა და 14 წელს ქვემოთ რთული ქცევის მქონე ბავშვებისათვის პროგრამებისა და მომსახურებების თაობაზე გამოცდილების გაზიარება.

აღნიშნულ სამუშაო ვიზიტში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - მარი წერეთელი.

ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯები (სასტუმრო, მგზავრობა და დღიური ნორმა) ანაზღაურდება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში უზრუნველვყოფთ მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი მარი წერეთლისთვის მიმდინარე წლის 24 ივნისიდან 29 ივნისის ჩათვლით.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მარიანა მკურნალი